მაჭახელას თოფის გზა

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მარშრუტის დასაწყისი / დასასრული:

ბათუმი - სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

მანძილი ბათუმიდან: 47კმ

ხანგრძლივობა: ერთი ან რამოდენიმე დღე

მარშრუტის ტიპი: საავტომობილო

სირთულე: მარტივი

გზის საფარი: ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტიანი გზა (17 კმ)

მარშრუტის აღწერილობა:

მაჭახელას ხეობა ბათუმიდან სამხრეთით, მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას შესართავიდან იწყება. ხეობა ცნობილია თოფი მაჭახელას და საოჯახო ხანჯლების ისტორიით, კულტურულ-ისტორიული ძეგლებითა და ეროვნული პარკით.

„მაჭახელას თოფის გზის“-ს მარშრუტი საშუალებას გაძლევთ მოინახულოთ თოფი „მაჭახელას“ მონუმენტი (1), გვარას ციხე (2), მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი სოფელ სკურდიდში (3) ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), ულამაზესი ჩანჩქერი (5) და ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (6).

ტურისტული მარშრუტი ბათუმიდან იწყება, მიუყვება ბათუმი ახალციხის გზატკეცილს. სოფ. აჭარისწყლიდან გზა მიემართება მდინარე ჭოროხისა და მაჭახლისწყლის შესართავთან საიდანაც 300 მეტრის მოშორებით გვხვდება გვარას ციხის ნანგრევები, აქედან გზა გრძელდება მდინარე მაჭახელას ხეობის მიმართულებით და სოფელ სკურდიდში ისტორიულ ქვემეხსა და ამბრაზურასთან მივყავართ. გზად გვხვდება ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4), რომელიც XII საუკუნეშია აგებული. ხეობის აყოლებით მივდივართ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. აქ დამთვალიერებელს ულამაზესი ჩანჩქერი ელის, რომლის ფორმა გამორჩეულია და კიბის საფეხურებს წაგავს. მარშრუტი გრძელდება ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიმართულებით (6), რომელიც ყოფილი მეჩეთის სამსართულიან შენობაშია განთავსებული. გზიდან მაჭახლის ხეობის შთამბეჭდავი ხედები იშლება.

ხეობაში შესაძლებელია მაჭახელას ეროვნული პარკის მონახულება. პარკი ზღვის დონიდან 300-350 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. პარკის ტერიტორიის 95% წაბლის, წიფლის, რცხილის და მურყანის ტყეებს უკავია. ფუნქციონირებს ორი, სამანქანოსთან ინტეგრირებული საფეხმავლო ბილიკი. ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრები განლაგებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. აჭარისაღმართის ცენტრში (7).

ქვედა და ზედა ჩხუტუნეთსა და კოსტანეთში შესაძლებელია ღამისთევა და ტრადიციული კერძების დაგემოვნება საოჯახო სასტუმროებში, სადაც გაეცნობით ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაისეირნებთ მიმდებარე ადგილებში და მოინახულებთ ღირშესანიშნაობებს (8) (9) (10) (11) (12).


შავი ზღვა
ბათუმი
ანგისა
ადლია
ჯახაბერი
ფერია
ქვედასამება
სამება
ურეხი
ანარია
ზედაახალშენი
ახალშენი
განახლება
თოდოგაური
მეჯინისწყალი
მახვილაური
შარაბიძეები
ხელვაჩაური
ახალსოფელი
ჭარნალი
გონიოს ციხე
გონიო
თხილნარი
ზედა თხილნარი
მახო
ერგე
ტალახნარა
ზედა ჯოჭო
ქვედა ჯოჭო
ზედა ახალშენი
ქვედა ახალშენი
ზედა ბაღდასარი
ქვედა ბაღდასარი
ბაღდასარი
ბაღდასარი

ღირშესანიშნაობები

თოფის მონუმენტი (1) - თოფის მონუმენტი ხელვაჩაურში, მაჭახელას ხეობაში 2007 წელს დაიდგა, მონუმენტი არის სიმბოლო იმ ტრადიციისა, რომლებმაც მაჭახელას ხეობას ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაუთქვა სახელი, როცა აქ კაჟ-ჩახმახიანი თოფებისა და დამბაჩების დამზადება დაიწყეს.

გვარას ციხე (2) - VI საუკუნეშია აშენებული. იგი მდებარეობს მდ. ჭოროხისა და მაჭახელას წყლის შესართავთან, 300 მეტრის მოშორებით. გვარას ციხე ხელსაყრელი ბუნებრივი მდებარეობის გამო წარმოადგენდა სათვალთვალო დანიშნულების ნაგებობას და განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ჭოროხისა და მაჭახელას ხეობებისკენ მიმავალი გზის გაკონტროლებაში. დღეისათვის შემორჩენილია რამოდენიმე კედელი. გვარას ციხიდან იშლება შესანიშნავი ხედი ყველა მიმართულებით.
გვარას ციხეზე ჩასვლა მარტივია, ჩასასვლელი ბილიკი მიუყვება ტყეს, ბილიკზე მოწყობილია ბეტონის კიბე (დაახლოებით 300 საფეხური).

II მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხი და ამბრაზურა სოფელ სკურდიდში (3)
ქვემეხი მაჭახელას ხეობაში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აღმოჩნდა, ყოფილ საბჭოთა საქართველოსა და ნატოს საზღვართან.

ამბრაზურა წარმოადგენს რკინისა და ბეტონისგან დამზადებულ მძიმე ტექნიკას, რომელშიც მოთავსებულია მცირე ზომის ოთახები, სადაც შესაძლებელი იყო მეომრების დამალვა და საბრძოლო იარაღის შენახვა. ქვემეხი უზრუნველ-

ყოფდა იმ სასაზღვრო გზების დაცვას, რომელიც ხეობის სიღრმეში გადიოდა. 1950-იანი წლების ბოლომდე მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა ჯარისკაცთა ოცეული, რომელიც მახლობლად მდებარე ყაზარმაში იყო განლაგებული.

ცხემლარას თაღოვანი ხიდი (4) - შუა საუკუნეებში აგებული თაღოვანი ხიდი მდებარეობს მდინარე მაჭახელაზე. ამ ხიდით სარგებლობდა სოფელ ცხემლარას მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში ახალი სამანქანე ხიდის აშენებამდე. ნახევრადწრიული თაღის მოხაზულობის ხიდი საკმაოდ ვიწროა და განკუთვნილი იყო ფეხით მოგზაურთათვის.

ჩხუტუნეთის ჩანჩქერი (5) - ჩანჩქერი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში, მდინარე ჩხუტუნეთისწყალზე. იგი საფეხურებად მოედინება და ლამაზ სანახაობას წარმოადგენს. ჩანჩქერი სოფლის მთავარ გზასთან ახლოს მდებარეობს, რის გამოც ადვილად შეძლებთ მასთან მისვლას. იქვე მოწყობილია მცირე საპიკნიკე ადგილიც.

ზედა ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (6)
მუზეუმი დაარსდა 1985 წელს, ის განთავსებულია ყოფილი მეჩეთის სამსართულიან შენობაში. მუზეუმში წარმოდგენილია ხეობისთვის დამახასიათებელი არაერთი უნიკალური ექსპონატი და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთი. მუზეუმში ტურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XVIII საუკუნის ხეზე ნაკვეთი ორნამენტი, რომელიც წლების გასვლის მიუხედავად ინარჩუნებს ფერებს.
მუზეუმში შესვლის ფასი - 3 ლარი
გიდის მომსახურება - 15 ლარი
ტელ: +995 595 95 86 62 მალხაზ ნაგერვაძე

საოჯახო სასტუმროები

საოჯახო სასტუმრო „მაჭახელი“ (8)
სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი
ტელ: +995 577 20 38 38 / +995 558 25 79 26
შესაძლებელია 8 სტუმრის განთავსება
ღამისთევა საუზმით - 40 ლარი
საოჯახო სასტუმროსთან ახლოს არის წყლის წისქვილი, სადაც შესაძლებელია სიმინდის დაფქვევის პროცესის ნახვა, ასევე ფქვილის შეძენა და მჭადების გამოცხობა მასპინძელთან ერთად. გარდა ტრადიციული აჭარული კერძებისა, შეგიძლიათ დააგემოვნოთ ადგილობრივი უნიკალური "ლუდის ყველი" ე.წ. აჭარული ხმელი ყველი, რომელიც მზადდება განსაკუთრებული რეცეპტით.

საოჯახო სასტუმრო „ნოე“ (12)
სოფელი ზედა ჩხუტუნეთი
ტელ:+995 593 11 38 51
შესაძლებელია 9 სტუმრის განთავსება
ღამისთევა საუზმით 25-30 ლარი, ღამისთევა კვების გარეშე10-15 ლარი
ტრადიციული ქართული კერძები - ელარჯი, მწვანე ლობიო, მჭადი და ყველი
ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ ადგილზე შეიძინონ მასპინძლის ხელით, ხისგან დამზადებული მაჭახელას თოფის სუვენირები (15-20 ლარი)

საოჯახო სასტუმრო „ცისკარი“ (9)
სოფ. კოსტანეთი
ტელ: +995 555 60 09 08
შესაძლებელია 8 სტუმრის მიღება
ღამისთევა ერთჯერადი კვებით - 35 ლარი
ტრადიციული აჭარული კერძები - ბორანო, სინორი, ჩირბული.
საოჯახო სასტუმროსთან ახლოს მდებარეობს ფიჭვნარი და საპიკნიკე ადგილი ტყეში. ოჯახი ტურისტებს ასევე სთავაზობს გასეირნებას მაჭახელას ეროვნულ პარკში და ტურს მთა კილდიკვინაზე (ზღვის დონიდან 2151,2 მ)

საოჯახო სასტუმრო „დემე“ (11)
სოფელი ზედა ჩხუტუნეთი
ტელ: +995 555 67 13 67
საოჯახო სასტუმროში შესაძლებელია 12 სტუმრის განთავსება
ღამისთევა ერთჯერადი კვებით - 40 ლარი
ტრადიციული აჭარული კერძები - ნიგვზიანი ღვეზელი, სინორი, აჩმა.

საოჯახო სასტუმრო „მანჩო“ (10)
სოფელი ზედა ჩხუტუნეთი
ტელ: +995 595 99 36 72
საოჯახო სასტუმროში შესაძლებელია 6 სტუმრის განთავსება
ღამისთევა ერთჯერადი კვებით - 35 ლარი
ადგილზე დააგემოვნებთ ისეთ ტრადიციულ აჭარულ კერძებს, როგორიცაა მაწვნის სალათი, (გახეხილი კიტრი ნივრიანი მაწვნით და სუნელებით) და ბორანო.
საოჯახო სასტუმროსთან ახლოს მდებარეობს ჩხერის ხიდი და ჩანჩქერი.

კვება

რესტორანი-სასტუმრო „ჩვენებური“ (14)
რესტორანი მდინარის პირას, სადაც შესაძლებელია ქართული და ევროპული კერძების დაგემოვნება. რესტორანს გააჩნია ვერანდა (40 სტუმარი) და დახურული დარბაზი (220 სტუმარი).
სასტუმრო: 13 ნომერი (სტანდარტული ორადგილიანი - 80 ლარი, ლუქსი - 150 ლარი) ნომრის ღირებულებაში შედის საუზმე
მის: მაჭახელას ხეობა, სოფ ქედქედი
ტელ: +995 593 422525 / +995 577 447272

რესტორანი „მაჭახელა“ ცხემლარას ხიდთან (15)
ღია რესტორანი, თაღოვან ხიდთან. დააგემოვნეთ ნატურალური პროდუქტებისგან დამზადებული გემრიელი კერძები და ოჯახში დამზადებული ღვინო - მოცვის ჩხავერი, მდინარის კალმახი, ადგილობრივი ოჯახურად შემწვარი კარტოფილი. რესტორანი მდებარეობს მდინარის პირას, შესაძლებელია თევზობა, ფრენბურთის თამაში.
მის: სოფელი ცხემლარა (ბათუმიდან 30 კმ)
ტელ: +995 599 52 12 25 / +995 574 30 27 27

რესტორანი „მაჭახელა“ გვარას ციხესთან (13)
რესტორანი მაჭახელას ხეობაში მდინარის პირას, ბათუმიდან 27 კმ-ში მდებარეობს. აქ დაგემოვნებთ ქართულ ტრადიციულ კერძებს და ადგილობრივი ყურძნის ჯიშისგან დამზადებულ ღვინოს და ჭაჭას.
მის: სოფელი კირნათი
ტელ: +995 593 20 97 23

საპიკნიკე ტერიტორიები

(16) სოფელ სინდიეთის ტერიტორიაზე მდინარე მაჭახლისწყლის პირას მდებარეობს 2 საპიკნიკე ტერიტორია - „ალიბაბა“ და „კომპოზიტორის ფაცხები“
აქ შესაძლებელია მწვადის და თევზის შეწვა, კარვების გაშლა, კოცონის დანთება, ბანაობა და თევზაობა.
საკონტაქტო ინფორმაცია:
საპიკნიკე ტერიტორია „ალიბაბა“
ტელ: +995 557 60 86 29
საპიკნიკე ტერიტორია „კომპოზიტორის ფაცხები“
ტელ: +995 555 20 68 76

აქტივობები

- ფოლკლორი - ადგილობრივი საბავშვო ქორეოგრაფიული ანსაბლის შესრულებით.
  საკონტაქტო ინფორმაცია:
  მალხაზ ნაგერვაძე +995 595 95 86 62
  ემზარ ნაგერვაძე +995 595 95 86 57
- ისტორიულ-კულტურული ძეგლების ნახვა.
- „მაჭახელას თოფის“ შექმნის ტრადიციის გაცნობა.
- მაჭახელას ეროვნული პარკის მონახულება.
- აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ტყეში გასეირნება, სოკოს და კენკრის შეგროვება.
- მდინარე მაჭახლისწყალზე თევზაობა, ცურვა და პიკნიკის მოწყობა.

მაჭახლობა
მაჭახლობა არის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად სექტემბრის პირველ ნახევარში, მაჭახელას ხეობაში იმართება. ამ დღეს საშუალება გექნებათ დაადგემოვნოთ ხეობისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძები, მოუსმინოთ ფოლკლორულ ანსამბლებს, მონაწილეობა მიიღოთ სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და შეიძინოთ ხელნაკეთი ნივთები.
ღონისძების მსვლელობისას ადგილობრივები ასახელებენ და აჯილდოვებენ „საპატიო მაჭახლელს“, მობრძანებული სტუმრებიდან ირჩევენ ერთ-ერთს და გადასცემენ საჩუქრად „მაჭახლის ქამარს“.

მაჭახელას ეროვნული პარკი

(17) მაჭახელას ეროვნული პარკი 2012 წელს შეიქმნა. პარკი 8733 ჰა-ზეა გაშლილი და მისი 95 % ტყით არის დაფარული.
პარკის ტერიტორია დაყოფილია 3 ზონად:
1. ბუნების მკაცრ დაცვის ზონა - 1178 2 ჰა
2. ბუნების მართვადი დაცვის ზონა - 350 9 ჰა
3. ტრადიციული გამოყენების ზონა - 7203 9 ჰა
პარკის ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს უნიკალური რელიქტური მცენარეთა სახეობები, რომლებიც საქართველოს ნითელ ნუსხაშია შეტანილი, ესენია: კოლხური ბზა, წაბლი, კოლხური თხილი,

ქართული კაკალი, უნგერნის შქერი, უთხოვარი, თელა.
ფაუნის წარმომადგენელთაგან ეროვნულ პარკში გვხვდება: შველი, კვერნა, მგელი, ტურა, მაჩვი, ციყვი, გარეული ღორი, და ასევე ნითელი ნუსხით დაცული სახეობები: მურა დათვი, არჩვი, ფოცხვერი.

პარკის ტერიტორიაზეა 2 ტურისტული ბილიკი:
1. მთავარანგელოზის 8,3 კმ-იანი ბილიკი სოფ. სინდიეთიდან იწყება და ტყის მასივების, მთის ნაკადულებისა და წყაროების გავლით მთავარანგელოზის მთასთან მიდის.
2. ქოქოლეთის ბილიკის სიგრძე 6 კმ-ს შეადგენს. გზად ვხვდებით შერეულ ფართოფოთლოვან და წიწვოვან ტყეებს. საკარვე ადგილიდან 1 6 კმ-ში არის გადმოსახედი ადგილი, საიდანაც მოჩანს თურქეთის დაცული ტერიტორია და იქ არსებული ძველი მაჭახელას 5 სოფელი.
მაჭახელას ეროვნულ პარკში ლაშქრობის დასაგეგმად რეკომენდირებულია მიმართოთ ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ან ვიზიტორთა ცენტრს.

ტელ: +995 595 08 60 75
ელ-ფოსტა: info@apa.gov.ge (7)

ტრანსპორტი

როგორ მივიდეთ მაჭახელაში

- მაჭახელაში დადის მუნიციპალური ტრანსპორტი (სამარშრუტო ტაქსი) - მგზავრობის ღირებულება - 2 ლარი.
ქვედა ჩხუტუნეთი-ბათუმი 07:00; ბათუმი - ქვედა ჩხუტუნეთი 16:00;
ზედა ჩხუტუნეთი-ბათუმი 09:00; ბათუმი - ზედა ჩხუტუნეთი 12:30

- ორგანიზებული ინდივიდუალური ან ჯგუფური ექსკურსიით

- ტაქსით (დაახ. 80 ლარი) ან საკუთარი ტრანსპორტით

ტრანსპორტსა და გიდების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შესაძლებელია დაუკავშირდეთ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს ტელეფონის ნომერზე: **+995 577 90 90 91 / +995 577 90 90 93** ან ადგილობრივ ტურისტულ სააგენტოებს, რომელთა კონტაქტიც შეგიძიათ იხილოთ ვებ-გვერდზე **gobatumi.com**